# მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტი

| კოდი | დასახელება | 2024 წლის პროექტი(ლარი) |
|---|---|---|
| | **შემოსულობები** | **23735300** |
| 1 | **შემოსავლები** | **23735300** |
| 11 | გადასახდები | 22098000 |
| 113 | ქონების გადასახადი | 9100000 |
| 114 | დამატებული ღირებულების გადასახადი | 12998000 |
| 13 | გრაანტები (მიზნობრივი) | 237300 |
| 14 | სხვა შემოსავლები | 1400000 |
| 141 | შემოსავლები საკუთრებიდან | |
| 1411 | პროცენტი | 120000 |
| 1415 | რენტა | 1100000 |
| 142 | საქონლის და მომსახურების რეალიზაცია | 140000 |
| 143 | სანქციები,ჯარიმები და საურავები | 40000 |
| 31 | **არაფინანსური აქტივების კლება** | 0 |
| | **ფინანსური აქტივების კლება** | 0 |
| | **ვალდებულებების ზრდა** | 0 |
| | | |
| | **გადასახდელები** | **23735300** |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 8925400 |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1738000 |
| 0 011 02 | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | 5935400 |
| 01 01 03 | კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა | 35000 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 1217000 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 460000 |
| 01 02 03 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 193000 |
| 01 02 04 | სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები | 0 |
| 01 02 05 | აიპ ახალგაზრდული თვითმართველობა | 557000 |
| 1 02 06 | ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა | 7000 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 4375000 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) | 950000 |
| 02 01 01 | მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია | 950000 |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 625000 |
| 02 02 01 | გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 475000 |
| 02 02 02 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 150000 |
| 02 03 | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 800000 |

| | | |
|---|---|---|
| 02 04 | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 200000 |
| 02 05 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 0 |
| 02 06 | რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება | 1000000 |
| 02 07 | საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება | 800000 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1937000 |
| 03 01 | აიპ "მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური" | 1937000 |
| 04 00 | განათლება | 2442000 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 2442000 |
| 04 02 | სკოლების თანადაფინანსება | 0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 3560600 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 1374000 |
| 05 01 01 | ა(ა)იპ სპორტული სკოლების გაერთიანება | 1324000 |
| 05 01 02 | აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა | 50000 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 1426600 |
| 05 02 01 | ბიბლიოთეკების დაფინანსება | 145600 |
| 05 02 02 | ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი" | 1150000 |
| 05 02 03 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | 131500 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 300000 |
| 05 04 | აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ | 460000 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 2495300 |
| 06 01 | მოსახლეობის ჯანდაცვის ხელშეწყობა | 607300 |
| 06 01 01 | აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვა | 187300 |
| 06 01 02 | მესტიის სავადმყოფოს-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება | 420000 |
| 06 02 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 710000 |
| 06 03 | სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება | 100000 |
| 06 04 | უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა | 55000 |
| 06 05 | შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება | 103000 |
| 06 06 | [illegible] მალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა | 120000 |
| 06 07 | მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების და მაჩუბების გადასახური მასალით უზრუნველყოფის პროგრამა | 800000 |

## 2025-2028 წლების მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის

## სხდომის N3 ოქმი

30.09.2024 წ.

დ. მესტია

„2025-2028 წლების მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის" სხდომა ჩატარდა 2024 წლის 30 სექტემბერს. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, დ. მესტიაში, სეტის მოედანი #1.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ"მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის1 მარტის ბრძანების საფუძველზე.

„მესტიის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს - მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი

**სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებიან:**

**სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი**- მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი

**სამუშაო ჯგუფის წევრები:**

სალომე კვიციანი - საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სამუსაო ჯგუფის კოორდინატორი.

ალირა უმფრიანი -საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების და ფორმირების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ქეთევან ხარძიანი -ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ლალი გულედანი - ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი.

ირინა ღვაჩლიანი - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

ლანა მჭედლიანი -ეკონომიკის და ტურიზმის განვითარების სამსახურის ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი.

მაია ნაკანი - განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

**მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის სამუშაო ჯგუფისათვის განსახილველად წარდგენა.**

შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი შეეხება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის გაცნობა/განხილვას, რომელიც შედგენილ იქნა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე.

**საფინანსო სამსახურმა** სამუშაო ჯგუფს განსახილველად წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის შესახებ, რომელიც დაიგეგმა მხოლოდ საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით (სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების გარეშე). 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია--23 735.3 ათასი ლარის ოდენობით, რაც წინა წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან (21 500.4ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 2 234.9 ათასი ლარით.

**ინფრასტრუქტურის მიმართულებით ჭერი დაგეგმილია 4.375 მლნ ლარი**, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით 768 ათასი ლარით მეტია, ხოლო 2024 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელთან შედარებით 12.4 მლნ ლარით ნაკლებია(სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერები არაა გათვალისწინებული). ინფრასტრუქტურული პროექტების ხვედრითი წილი 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობასთან ( 23.735 მლნ ლარი) 18 %-ია;

2024 წლის ბიუჯეტის პროექტიდან დასაფინანსებელ **ძირითად პრიორიტეტებზე** რესურსები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება -8 925.4 ათ. ლარი.**
- **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია-4 375 ათ. ლარი.**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა-1 937 ათ. ლარი.**
- **განათლება- 2 442 ათ. ლარი.**
- **კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები- 3 560.6 ათ. ლარი.**
- **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.- 2 495.3 ათ. ლარი.**

2024 წლისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები და მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისდა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები განსაზღვრულია **დანართის** მიხედვით.

აღნიშნულ იქნა, რომ მიმდინარე წლის არაუგვიანეს 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობით გვაცნობებს ინფორმაციას 2025 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლის საფუძველზე დაზუსტდება ბიუჯეტის პროექტის მოცულობა.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ფორმირების ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისდა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, 2025 წლის ასიგნებების მოცულობა რჩება საბიუჯეტო ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების შესაბამისად.

სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები

სამუშაოჯგუფმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:მიღებულ იქნეს ცნობად საფინანსო სამსახურის მოხსენება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის შესახებ და გაგრძელდეს მუშაობა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის ფორმირებაზე.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი კაპიტონ ჟორჟოლიანი

სამუშაო ჯგუფის წევრები:

სალომე კვიციანი

ქეთევან ხარძიანი

ლალი გულედანი

ირინა ლვაჩლიანი

ლანა მჭედლიანი

მაია ნაკანი

ალირა უმფრიანი